



OPEN SOCIETY FOUNDATIONS
კონკრეტული აქტივობების მხარდობა



საერთაშორისო დემოკრატიის
ფონდი

გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული და სასჯელის თანაზომიერება

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე
მუხლმა" ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს"
დაფინანსებული პროექტის "გაუფრთხილებლობით ჩადენილი
დანაშაულებისათვის სასჯელის გამოყენების ანალიზი და
თანაბომიერების კვლევა

საქართველოში" ფარგლებში ჩაატარა კვლევა.

ავტორის მიერ კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები
შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-
საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის
პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ავტორი: დიმიტრი ხაჩიძე

თბილისი, 2017 წელი

შესავალი

5

1. სასჯელი რომელიც შესაძლოა შეეფარდოს გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისათვის

7

2. საბრანსპორტო დანაშაული
(ავტოსაგზაო შემთხვევები)

14

3. სინოცხლის მოსკობა გაუფრთხილებლობით

32

4. ჰანგრთელობის დაგინება
გაუფრთხილებლობით

34

5. ქონების დაგინება გაუფრთხილებლობით
რეკომენდაციები:

35

44

შესავალი

2017 წლის 1 იანვრიდან ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ახორციელებს პროექტს „გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულები-სათვის სასჯელის გამოყენების ანალიზი და თანაზომიერების კვლევა საქართველოში“. კვლევის დაწყების პირველ ეტაპზე გამოვითხოვეთ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე დაწყებული გამოძიებების რაოდენობის შესახებ, ასევე მთავარი პროკურატურიდანაც გამოვითხოვეთ ინფორმაცია იგივე დანაშაულებზე დაწყებული სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისა თუ განრიდების გამოყენების რაოდენობების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულის სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია განთავსებული აქვს ვებგვერდზე, მაგრამ რიგ შემთხვევებში ჩვენთვის საინტერესო მუხლებით დაწყებული გამოძიების რაოდენობის შესახებ მონაცემები განთავსებულია ჯგუფში „სხვა დანარჩენი“, რაც შეუძლებელს ხდის ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღებას. გამონაკლისია მხოლოდ შედარებით გავრცელებული დანაშაულების შესახებ ინფორმაცია (მაგ სატრანსპორტო დანაშაული). ჩვენთვის ეს ინფორმაცია პროექტის დაწყებამდეც ცნობილი იყო, მაგრამ აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ სტატისტიკური თვალსაზრისით იყო საინტერესო.

პირველი იმიტომ რომ გაუფრთხილებელი დანაშაულების დიდი ნაწილი წარმოადგენს ბლანკეტურ ნორმებს და ხშირ შემთხვევებში ესა თუ ის წესი, რომლის დარღვევით დამდგარი შედეგი იძლევა დანაშაულის შემადგენლობას სწორედ იმ პირის მიერ იქნა დარღვეული, ვისაც ზიანი

მიადგა. ამის კლასიკური შემთხვევაა ავტოავარია. მეორეის რომ ზოგადად, რეგისტრირებულ დანაშუღათა რაოდენობა დამნაშავე პირის მიმართ კონკრეტული სასჯელის ზომის შეფარდებისას მეორეხარისხოვანია, თან თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ამგვარი დასაბუთება სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლის პროცესში არ შეგვხვედრია, თუმცა ამას მოგვიანებით განვიხილავთ.

უშუალოდ სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლა მოხდა სამართლის საძიებო სისტემის info.court.ge მიხედვით, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა სასამართლო პრაქტიკა მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე სხვადასხვა რეგიონში და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემით <http://prg.supremecourt.ge> ამ ყველაფერმა საშუალება მოგვცა დინამიკაში შევისწავლოთ სასამართლოს პრაქტიკა ინსტანციების მიხედვით. ჯამში შესწავლილ იქნა 793 გადაწყვეტილება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ელექტონული ბაზის მეშვეობით ვერ ხერხდება ჩვენთვის საინტერესო ყველა საქმის მოძიება (ბაზები არ არსის სრულყოფილი და მათში ყველა საქმე არაა შესული), მოხდა სხვადასხვა სასამართლოდან მათი უშუალოდ გამოთხოვა. ძირითადად ინფორმაცია შესაბამისი მუხლისა და დროის პერიოდის მითითებით გამოვითხოვეთ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებიდან, ასევე შედარებით დიდი ადმინისტრაციული ერთეულებიდან თბილისის, ბათუმის, თელავის, ზუგდიდის, გორის საქალაქო სასამართლოებიდან. როგორც სხვადასხვა რეგიონის სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლამ აჩვენა, პირველი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო პრაქტიკა ჩვენთვის საინტერესო დანაშუღლებზე დროის იმ პერიოდში რომლის შესწავლაც ჩვენ მოვახდინეთ (2013-2016 წლები), მთელი საქართველოს მასშტაბით არის ერთგვაროვანი. შესაბამისად, უკვე კვლევის ტექსტში როდესაც საუბარი იქნება სასამართლო პრაქტიკაზე გავითვალისწინოთ რომ მხედველობაში გვაქვს სასამართლო პრაქტიკა 2013-16 წლებში

მთელი საქართველოს მაშტაბით. გამონაკლისი შემთხვევები, ასეთის არსებობის შემთხვევაში მითითებულია ტექსტში.

საბოლოოდ კვლევა შეიძლება დავყოთ შემდეგ ქვესათაურებად:

1. სასჯელი რომელიც შესაძლოა შეეფარდოს გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისათვის;
2. სატრანსპორტო დანაშული (ავტოსაგზაო შემთხვევები);
3. სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით;
4. ჯანმრთელობის დაზიანება გაუფრთხილებლობით;
5. ქონების დაზიანება გაუფრთხილებლობით.

1. სასჯელი რომელიც შესაძლოა შეეფარდოს გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისათვის.

ვიდრე უშუალოდ კვლევის შედეგებზე გადავალთ თავდაპირველად განვსაზღვროთ თუ რა სახისა და ზომის სასჯელი შეიძლება შეეფარდოს პირს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის.

გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილი დანაშაულებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელებიდან შესაძლოა დაინიშნოს ერთ-ერთი სასჯელი და ასევე დამატებითი სასჯელი, გარდა უვადო თავისუფლების აღკვეთისა.

ყველაზე უფრო მსუბუქი სასჯელი გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილი დანაშაულისათვის არის ჯარიმა, ხოლო ყველაზე უფრო მკაცრი სასჯელი თავისუფლების აღკვეთა თორმეტ წლამდე ვადით.

მაგალითად, ყველაზე მსუბუქ სასჯელს ჯარიმას, გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილი დანაშაულისათვის ითვალისწინებს სსკ 124-ე მუხ-

ლი „ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით,, ყველაზე მკაცრ სასჯელს 8-12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას კი სსკ 276-ე მუხლი მე-8 ნაწილი „ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.,,

- ჯარიმა შესაძლებელია დაინიშნოს როგორც ძირითად, ასევე დამატებით სასჯელად. ჯარიმის შემთხვევაში, განისაზღვრულია მხოლოდ მინიმალური ოდენობა 2000 ლარი, ხოლო ისეთი დანაშაულებისათვის რომლებზეც პატიმრობა 3 წელზე მეტი ვადით არ არის გათვალისწინებული, სასჯელად ჯარიმის მინიმალური ოდენობა არის 500 ლარი. ჯარიმის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის. (გამონაკლისს წარმოადგენს **ოჯახში ძალადობის დანაშაული**)¹.

- თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. სასჯელი შესაძლოა დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული სსკ შესაბამისი მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო

¹ სსკ მუხლი 42 ნაწილი 5 ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როცა იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული არ არის, გარდა ამ კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა

შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება. უფლების ჩამორთმევა ნიშნავს, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად შეიძლება დაინიშნოს ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად – ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად და დამატებით სასჯელად გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილი კონკრეტული დანაშაულებისათვის სსკ-ის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, გამოიყენება მხოლოდ როგორც დამატებითი სასჯელი. ხშირად სასჯელის ეს სახე სსკ 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით.

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. შრომის სახეს და პირობებს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელად გათვალისწინებული არ არის. პრაქტიკის შესაბამისად, პრობაციის ბიურო შრომის პირობებს განსაზღვრავს თვითმმართველობასთან, დასუფთავების და სხვა სამსახურებთან შეთანხმებით. მაგალითად, დასუფთავების სამუშაოების წარმოება დასავლეთ საქართველოში, ზღვის სანაპიროს დასუფთავება, გამწვანების სამუშაოები და ა.შ.

- გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდის უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არა უმეტეს ოცი პროცენტისა.

- სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ენიშნება სამხედრო მოსამსახურეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურის სანაწილმდეგო დანაშაულის ჩადენისათვის, აგრეთვე სხვა დანაშაულისათვის მსჯავრდებულ სამხედრო მოსამსახურეს სს კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული გამასწორებელი სამუშაოს ნაცვლად. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ინიშნება სამი თვიდან ორ წლამდე ვადით.

- თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მასზე ზედამხედველობის განხორციელებით. თავისუფლების შეზღუდვა ენიშნება ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულს ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.

- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებას. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით, სასამართლო უფლებამოსილია, დაინიშნოს სასჯელის ზომის უდაბლეს ბღვარზე ნაკლები სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილი დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელი არის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მაგრამ, მიუხედავად ამისა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულად არც ერთი მათგანი არ ითვლება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილი დანაშაულები იყოფა

2 კატეგორიად: ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებად. ნაკლებად მძიმეა კატეგორიისაა დანაშაული, რომლისთვისაც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას, მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სსკ-ის შესაბამისი მუხლი სასჯელად 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დანაშაულის კატეგორად დაყოფას მნიშვნელობა აქვს როგორც სასჯელის განსაზღვრისა და მოხდის პროცედურებზე, ასევე სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე, შეწყალებასა და სხვა საშეღავათო საკითხებზე. გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილი დანაშაულებისთვის შესაძლებელია სასამართლომ დანიშნოს პირობითი სასჯელი. შეწყალება, ამნისტია, პირობით ვადამდე გათავისუფლება შედარებით უფრო მარტივად გამოიყენება. მაგალითად, თუ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირის მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ სასჯელის სამი მეოთხედის მოხდის შემდეგ, მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულის მიმართ ეს შეღავათი შესაძლოა გამოყენებული იყოს ორი მესამედის მოხდის შემდეგ.

კანონმდებლობით კონკრეტული დანაშაულისათვის სანქციის ფარგლების დადგენისას ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ამ ფარგლების განსაზღვრაზე, არის დანაშაულის სტატისტიკა. თუ კონკრეტული დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მაღალია მაშინ სახელმწიფოს მიერ დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდს ამ დანაშაულისათვის სანქციის გამკაცრება წარმოადგენს. ამავე დროს შესაძლებელია კანონით განსაზღვრული სანქციის ფარგლებში მკაცრი ან ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება დანაშაულის რაოდენობის მატებასა თუ კლებასთან ერთდ. საინტერესოა თუ რა უდევს საფუძვლად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ სანქციათა ფარგლებს, ემყარება თუ არა ის რაიმე კრიმინოლოგიურ კვლევას, სტატისტიკურ მონაცემებსა თუ სხვა გარემოებებს. დღეს მოქმედ ნორმათა სანქციის ფარგლები

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2006 წლის 14 თებერვალს შეიცვალა, პარლამენტში წლიური მოხსენების წარდგენისას გაცხადებულ სისხლის სამართლის პოლიტიკას ნულოვანი ტოლერანტობის² შესახებ აღნიშნული საჯარო განცხადები შემდგომ საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 28 აპრილს მიიღო კანონი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ,³ რომლითაც პრაქტიკაში განხორციელდა სახელმწიფოს გაცხადებული სისხლისამართლებრივი პოლიტიკა ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ. კერძოდ: სისხლი სამართლის კოდექსის ზოგაც ნაწილში შესული ცვლილებებიდან აღსანშნავია 55-ე მუხლიში შესული ცვლილება, რომლითაც სასამართლოს ჩამოერთვა უფლება თავისი შეხედულებისამებრ სასჯელის დანიშვნის დროს გამოეყენებინა კანონით გათვალისწინებულ უმაღლეს ზღვარზე ნაკლები და ეს უფლებამოსილება გადაეცა პროკურატურას მხოლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში. 55-ე მუხლი დღესაც იგივე რედაქციით მოქმედებს, 63-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სასამართლოს პირობითი მსჯავრის გამოყენების უფლება შეუნარჩუნდა: 1. განაჩენის გამოტანამდე თვრამეტ წელს მიუღწეველი პირებისათვის მხოლოდ იმ დათქმით, რომ სახეზე არ უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამასთან არასრულწლოვანისათვის ეს უნდა ყოფილიყო პირველი დანაშაული. 2. ისეთ შემთხვევებში თუ სახეზეა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული იმ პირობით რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, ამასთან იგი ნასამართლევი არ უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის. 63-ე მუხლიც დღესაც იგივე რედაქციით მოქმედებს, მხოლოდ 18 წელს მიუღწეველ პირთა მიმართ მარეგულირებელი ნორმები გაუქმდა 2015

² <http://www.civil.ge/geo/article.php?id=11754>

³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/952#>

წელს და იგი დარეგულირდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით. ზოგად ნაწილში განხორციელებულ ამ ცვლილებებს დამატა იმავე კანონით კერძო ნაწილის 245 მუხლში განხორციელებული ცვლილებები. ყველა ამ ცვლილების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ შემცირდა სხვაობა სანქციის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის, ან ისეთ დანაშაულებზე, სადაც განსაზღვრული არ იყო სანქციის მინიმალური ზღვარი იქ დაწესდა ან მცირედით გაიზარდა. ეს ცვლილებები მათ შორის შეეხებო ჩვენთვის საინტერესო გაუფრთხილებლობით დანაშაულებსაც. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, თუ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ისჯებოდა ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, 2006 წლის ცვლილების შემდგომ, უკვე ისჯება ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ასევე თუ სამსახურებრივი გულგრილობა ისჯებოდა ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ამ ჩანაწერით ისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით 276-ე მუხლს თუ მე-6 ნაწილის ჩათვლით თავსუფლების აღკვეთის მინიმალური ზღვარი არ იყო დაწესებული და მე-7 მე-8 ნაწილების მინიმალურ ზღვარს შეადგენდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთას, ამ ეტაპზე ყველა ნაწილს დაუდგინდა მინიმალურ ზღვარი, ხოლო მე-7 მე-8 ნაწილებისათვის განისაზღვრა შესაბამისად 6 და 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ამ ცვლილებებიდან 11 წელია გასული, რაც საკმარისზე მეტი დროა რათა შევაფასოთ რა შედეგი გამოიღო ამ ცვლილებებმა. ერთი შესაძლო შედეგია ის, რომ ცვლილებები ეფექტური იყო და ამან გამოიწვია დანაშაულის შემცირება, რა შემთხვევაშიც აჯობებს სახელმწიფომ განხორციელოს უფრო ლიბერალური პოლიტიკა. ხოლო მეორე შემთხვევაში ცვლილებებს არ გამოუწვევია დანაშაულის შემცირება და სანქციის გამკაცრება, მხოლოდ სამაგიეროს მიზღვევის ეფექტს ატარებს, რაც თავისთავად შესაძლოა სრულიად ლეგიტიმური ამოცანაა, თუმცა მთავარი მიზანი, დანაშაულის პრევენცია, მაინც შეუსრულებელი რჩე-

ბა. თუ სასჯელის გამკაცრებით ამ მიზნის მიღწევა ვერ ხერხდება, ჩვენ მოსაზრებით, აუკლებს სახელმწიფომ იმოქმედოს სასჯელის გადაუვალობის პრინციპით.

2. სატრანსპორტო დანაშაული (ავტოსაგზაო შემთხვევები)

როგორც მოსალოდნელი იყო და კვლევის შედეგების მიხედვითაც, გაუფრთხილებელ დანაშაულთაგან ყველაზე ხშირი შემთხვევებს წარმოადგენს საქართველოს სისსხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, მარტივად რომ ვთქვათ ავტოავარია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად 2014 წელს 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 3040 შემთხვევაა რეგისტრირებული რომელთაგანაც 331 შემთხვევა სიკვდილით დასრულდა. მსგავსი მონაცემებია 2015 წელსაც, რეგისტრირებულია 3166 შემთხვევა რომელთაგანაც 379 შემთხვევა დამთავრდა ლეტალური⁴ შედეგით. 2016 წლის მხოლოდ იანვრის თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით 460 შემთხვევაა დაფისრირებული რომელთაგანაც 33 შემთხვევა დასრულდა გარდაცვალებით⁵.

⁴ http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi_new/geo/danashaulis%20statistika/2015%20%E1%83%93%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%20%28%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%202015%E1%83%AC.%29.pdf

⁵ <http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi/2016/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%20%28%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%202016%E1%83%AC.%29.pdf>

სსკ მუხლი 276. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა

1. ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.
3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
4. იგივე ქმედება, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავი-


სუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

6. იგივე ქმედება, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
7. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
8. იგივე ქმედება, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

როგორც ვხედავთ სსკ 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის იმისდა მიხედვით თუ რა შედეგით დამთავრდა ავტოსაგზაო შემთხვევა სანქციის სახით დამნაშავეს შესაძლოა შეეფარდოს 500 ლარი ჯარიმიდან 12 წლამდე პატიმრობის ფარგლებში. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში მაქსიმალურად ვეცადეთ არ მოხვედრილიყო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებზედაც განაჩენი საქმის არსებითი განხილვის გარეშე იყო გამოტინილი, ანუ საპროცესო შეთანხმებით. ვინაიდან თავისთავად საპროცესო შეთანხმება გულისხმობს კანონით გათვალისწინებულ სასჯელზე მსუბუქი სასჯელის შეფარდებას. განვიხილოთ აღნიშნული მუხლის თითოეულ ნაწილზე არსებული სასამართლო პრაქტიკა. 276-ე მუხლის პირველი ნაწილით

გათვალისწინებულ შემთხვევებზე შეინიშნება მცირედი განსხვავება 2014 და 15-16 წლებში არსებულ პრაქტიკას შორის, კერძოდ, თუ 2014 წლისთვის გადანყვეტილებების 50%-ში გამოიყენეს პირობითი მსჯავრი გამოსაცდელ ვადასთან ერთად. ისეთ შემთხვევებში კი როდესაც სასჯელის სახით დამნაშავეს დაენიშნა ჯარიმა ჯარიმის ოდენობა მერყეობს 500 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში. რიგ შემთხვევებში დამატებითი სასჯელის სახით გამოყენებული იყო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ან/და 6 თვემდე ვადით მართვის უფლების ჩამორთმევა. 2015-16 წლებში სასჯელები უფრო ლიბერალურია და შემოიფარგლება ჯარიმით 500 ლარიდან 1000 ლარამდე თანხის ფარგლებში. გამონაკლისები, რა თქმა უნდა, ამ პერიოდშიც არსებობს და უმრავლეს შემთხვევაში გჩნია დასაბუთებაც. (მიატოვა შემთხვევის ადგილი, არ აანაზღაურა ზიანი, წარსული ნასამართლობა.) თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვერ შევხვდით შემთხვევას როდესაც 276-ე მუხლის პირველ ნაწილზე გამოყენებული იყო რეალური თავისუფლების აღკვეთა და დანიშნული სასჯელები შემოიფარგლება პირობითი მსჯავრითა და გამოსაცდელი ვადით 6-დან 18 თვემდე ვადით. ძირითადი არგუმენტაცია (რითაც სასამართლოს ასეთი გადანყვეტილებები განსხვავდებასხვა უფრო მსუბუქი სასჯელებისაგან) გახლავთ ბრალდებულის ქმედება, მაგალითად: საერთოდ არ ჰქონდა მართვის უფლება და მართავდა ავტომანქანას, მიატოვა შემთხვევის ადგილი, არ აუნაზღაურებია ზიანი, ერთ შემთხვევაში ბრალდებული თვითონ ითხოვდა რომ მას შეფარდებოდა პირობითი მსჯავრი და არა ჯარიმა ვინაიდან ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე მას არ გააჩნდა ჯარიმის გადახდის საშუალება. თუმცა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ისეთ უკიდურეს სასჯელის ზომას როგორცაა თავისუფლების აღკვეთა ჩვენ ვერ შევხვდით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბრალდებული პირი იძებნებოდა და არ ცხადდებოდა სასამართლოში, სანქციის სახით გამოყენებული იქნა ჯარიმა მართვის უფლების ჩამორთმევასთან ერთად და აღნიშნული გადანყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერაც.

სანქცია და სასამართლო პრაქტიკა



ანსხვავებით 276-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან, სადაც გამოყენებული სანქციები შედარებით მრავალფეროვანია, მეორე ნაწილის შემთხვევებში (იგივე ქმედება ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში) ასეთ მრავალფეროვნებას ვერ ვხვდებით, ასევე არანაირი სხვაობა არაა დროის სხვადასხვა პერიოდშიც. დანიშნული სასჯელები მერყეობს ორი ან სამი წლით პირობითი მსჯავრით შესაბამისი გამოსაცდელი ვადითა და რიგ შემთხვევებში მართვის უფლების ჩამორთმევით. მიუხედავად პირველ ნაწილთან შედარებით მკაცრი მიდგომისა, ჩვენ ვერც მეორე ნაწილის შემთხვევაში ვერ შევხვდით სასამართლოს მიერ სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენებას გარდა ერთი გამონაკლისის, როდესაც პირი არ ცხადდებოდა სასამართლოში. რაც შეეხება კონკრეტული სასჯელის ზომის დასაბუთებას სასამართლოს არგუმენტაცია ამ ნაწილის ყველა შემთხვევაში ერთგვაროვანია.

როგორც კვლევამ აჩვენა სსკ 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით ბრალდების შემთხვევებში სასამართლოს მიერ გამოყენებული სანქციები საერთო სურათის მიხედვით უფრო ლოიალური და მრავალფეროვანია ვიდრე

მე-2 ნაწილით მსჯავრდების შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ მე-2 და მე-3 ნაწილის სანქციების მაქსიმალური ზღვარი არ ცდება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. მე-2 ნაწილის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ ზღვარია 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მე-3 ნაწილის შემთხვევაში კი ეს მინიმალური ზღვარი შეადგენს 3 წლით თავისუფლების აღკვეთას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონმდებელს ოდნავ მაგრამ მაინც უფრო მძიმე შემთხვევად მიაჩნია მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, თუნცა განსხვავებულ მიდგომას ვხვდებით სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას. თუ მე-2 ნაწილის შემთხვევაში ყოველთვის გამოყენებული იქნა პირობითი მსჯავრი, მე-3 ნაწილით მსჯავრდებისას დანიშნული სასჯელები იწყება 2000 ლარიანი ჯარიმიდან და არ ცდება 5000 ლარს ოდენობას. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ჯარიმასთან ერთად ყოველთვის გამოყენებულია მართვის უფლების ჩამორთმევა. მე-3 ნაწილის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ვხვდებით პირობით მსჯავრსაც რა დროსაც ასევე დამატებითი სასჯელის სახით გამოყენებულია მართვის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 18 თვემდე ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ მე-3 ნაწილის შემთხვევაში პირობითი მსჯავრის შემთხვევები დაახლოვებით 40%-ს წაარმოადგენს. პირობითი მსჯავრის ვადა შეადგენს სამი წლიდან 4 წელსა და 6 თვემდე ვადით მსჯავრს. მე-3 ნაწილით მსჯავრდების დროს უკვე ვხვდებით სასჯელის სახით რეალური თავისუფლების აღკვეთის მსჯავრდების შემთხვევებსც. მართალია გამონაკლისის სახით და ერთეულ შემთხვევებს, მაგრამ ასეთი ფაქტებიც არსებობს. რეალური მსჯავრის განსაზღვრისას მე-3 ნაწილის შემთხვევებში საყურადღებოა სასამართლოს არგუმენტაცია, რომელიც რიგ შემთხვევაში არსებობდა, ხოლო გარკვეულ ნაწილში გაურკვეველი იყო. შემოიფარგლებოდა მხოლოდ სტანდარტული მითითებით ბრალდებულის პიროვნების, ქმედების განხორციელების სახეს, ეკონომიკურ მდგომარეობასა თუ წარსულ ცხოვრებაზე მითითებით. ვინაიდან ჩვენი კვლევისას, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ასეთი შემთხვევები ერთეული იყო შეგვიძლია რამდენიმე მათგანი განვიხილიოთ. ერთ შემთხვევაში ასეთ სასჯელს წარმოადგენდა თა-

ვისუფლებების აღკვეთა სამი წლის ვადით, ყოველგვარი უფლების ჩამორთმევისა და ჯარიმის გარეშე. თუმცა მსჯავრდებულს სსკ 276-ე მუხლის მე-3 ნაწილთან ერთად მსჯავრი დაედო სსკ 128-ე მუხლით (განსაცდელში მითოვება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვისაც. სასამართლოს ლოგიკა აბსოლიტურად გასაგებია, ვინაიდან დამნაშევმ მიატოვა შემთხვევის ადგილი და დახმარება არ აღმოუჩინა დაზარალებულს. ასევე გასაგებია მეორე შემთხვევა შემთხვევა, როდესაც არსებითი განხილვის შემდეგ დამნაშვეს მიესაჯა სამი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ვინაიდან სასამართლო შეზღუდული იყო სსკ 63-ე მუხლის მოქმედი რედაქციით. თუმცა გაურკვეველი რჩება მესამე შემთხვევა. როდესაც სხვა შემთხვევებისაგან არაფრით განსხვავებული შემთხვევისგან პირს მიესაჯა ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა. იმავე ზომის პირობითი მსჯავრით, ორწლიანი გამოსაცდელი ვადითა და ექვსი თვით უფლებათა ჩამორთმევით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილით ბრალდების შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებები ძალიან გავს მე-2 ნაწილით ბრალდების შემთხვევაში დანიშნულ სასჯელებს. იმ განსხვავებით, რომ სასჯელის ზომა არის შედარებით მაღალი. თუ მე-2 ნაწილით ბრალდების შემთხვევებში სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ზომა მერყეობდა ორი ან სამი წლით პირობითი მსჯავრის ფარგლებში, მეოთხე ნაწილის შემთხვევაში დანიშნული სასჯელის ზომა წარმოადგენს შესაბამისი სანქციის მინიმალური ზღვარს — 4 წლით პირობით მსჯავრს. ასევე ერთეული გამოწვევის შემთხვევებია, როდესაც სასჯელის ზომად განესაზღვრათ 4 წლითა და 6 თვით ან ხუთი წლის ვადით პირობითი მსჯავრი. მე-4 ნაწილით ბრალდების ყველა შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოყენებულია უფლების ჩამორთმევა ერთიდან სამი წლამდე ვადით. რაც შეეხება ჯარიმას, უნდა აღინიშნოს რომ ჯარიმის, როგორც დამატებითი სასჯელის გამოყენების 50 განაჩენიდან მხოლოდ ორ შემთხვევას შეეხვდით. მიუხედავად მე-4 ნაწილით ბრალდების შემთხვევაში, სასამართლოს ამკარად შედარებით მკაცრი მიდგომისა

ჩვენ ასევე ვერ ვხვდებით რეალური საპატიმრო სასჯელით მსჯავრდების შემთხვევებს. გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც პირს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის საჩივარი და დანიშნული სასჯელი პირობითი მსჯავრით შეუცვალა. ახალ გარემოებას კი სააპელაციო სასამართლოსათვის წარმოადგენდა ის გარეობა, რომ მსჯავრდებულმა სასამართლოში წარადგინა მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც მას ნასამართლობა მოხსნილი ჰქონდა.

როგორც ვხედავთ 1-ლ და მე-3 ნაწილებით ბრალდების შემთხვევებში სასამართლოს მიერ გამოყენებული სანქციები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, გამოირჩევა როგორც მრავალფეროვნებით, ასევე შედარებით ლიბერალური მიდგომით, განსხვავებით მე-2 და მე-4 ნაწილებით ბრალდების შემთხვევებისაგან, როცა ქმედება ჩადენილია მთვრალ მდგომარეობაში. მე-2 და მე-4 ნაწილებით ბრალდების შემთხვევებში სასამართლოს მიერ გამოყენებული სანქციის ფორმა ატარებს უფრო „ბოლო შანსის“ ეფექტს, ვინაიდან სასჯელის უფრო მკაცრი ფორმა დაპატიმრება. როგორც კვლევამ აჩვენა, მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ბრალდებისას გამოყენებული სანქციის ზომა ნაკლებად არის დამოკიდებული სხვა ისეთ გარემოებებზე როგორებიცაა პიროვნული მახასიათებლები, წარსული ცხოვრება, პირადი და ოჯახური მდგომარეობა, განსხვავებით თუნდაც იგივე პირველი და მესამე ნაწილებით განსაზღვრული შემთხვევებისა.


მიუხედავად იმისა, რომ მე-5 ნაწილიდან უკვე ისეთი ქედებისთვისაა განსაზღვრული პასუხისმგებლობა, როდესაც მოძრაობის წესების დარღვევას შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. როგორც კვლევამ აჩვენა, ასეთი ბრალდების შემთხვევებშიც სასამართლო ცდილობს სასჯელის დანიშნის დროს არ გამოიყენოს საპატიმრო სასჯელი. მე-5 ნაწილით კვალიფიცირებული ქმედებების 50% შემთხვევაში სასამართლოს მიერ სწორედ არასაპატიმრო სასჯელი იქნა გამოყე-

ნებული, პირობითი მსჯავრი 4 ანუ ხუთი წლის ვადით შესაბამისი საგამოცდო ვადით. აქაც ძირითად სასჯელთან ერთად დამატებითი სასჯელის სახით ყოველთვის გამოყენებული იყო უფლების ჩამორთმევა, ხოლო იშვით შემთხვევებში კი ჯარიმაც სამიდან ხუთი ათას ლარამდე ოდენობით. უნდა აღინიშნოს რომ პირობითი მსჯავრის შემთხვევებში სასამართლოს არგუმენტაცია არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების მიზანშეწონილობაზე ემყარება დამნაშავეს პიროვნებას, მის ქმედებას დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ზიანის ანაზღაურების საკითხებს, წარსულ ცხოვრებას. ესაა ის ძირითადი არგუმენტები, რომლებიც წარმოადგენს და საერთოა, როგორც მე-5 ნაწილით, ასევე წინა შემთხვევებში პირობითი მსჯავრის გამოყენების ძირითად მოტივაციას. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავეს მიესაჯა რეალური თავისუფლების აღკვეთა, აქ სასამართლოს არგუმენტაცია ცოტა განსხვავებულია და საინტერესო იქნება განვიხილოთ თითოეული მათგანი.


პირველი რაც აღსანიშნავია არის ის გარემოება, რომ მე-5 ნაწილიდან უკვე შედარებით ხშირია შემთხვევები, როდესაც მე-5 ნაწილით ბრალდებას, თან ერთვის ბრალდება პირველ ან/და მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, ანუ სასჯელის ზომის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას რამდენი ადამიანი დაზიანდა ამა თუ იმ ავტოსაგზაო შემთხვევას. ასევე გამახვილებულია ყურადღება ზიანის ანაზღაურების საკითხებზე. აუნაზღაურა თუ არა ზიანი ან ჰქონდა თუ არა მცდელობა ზიანის ანაზღაურებისა (პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის უფლებამონაცვლე კატეგორიულ უარს აცხადებს მასთან რაიმე სახის ანაზღაურების საკითხზე შეთავაზებაზეც კი). ასევე რეალური სასჯელები გამოიყენება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დამნაშავემ მიატოვა შემთხვევის ადგილი, წარდგენილია თუ არა სსკ 128-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება (განსაცდელში მიტოვება), წინა შემთხვევებში, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევას შედეგად მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა, თუ სასამართლოს პრაქტიკა მცირედი სხვაობით ერთგვაროვანი იყო

ახლა უკვე მე-5 ნაწილის შემთხვევაში გამოიკვეთა ერთი საყურადღებო დეტალი, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით ამ დანაშაულის რიცხვი არ მომატებულა, 2016 წელს განხილულ საქმეებში მატულობს რეალური სასჯელების გამოყენების მაჩვენებელი, ასევე მატულობს პირობითი სასჯელის გამოყენების შემთხვევაში, ბრალდების მხრიდან მხრიდან დანიშნული სასჯელის დამძიმების მოტივით განაჩენის გასაჩივრების შემთხვევები. მართალია ზემდგომი ინსტანციების სასამართლოს გადაწყვეტილებათა 80%-ის შემთხვევებში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება რჩება ძალაში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საჩივარი დაკმაყოფილდა. ვინაიდან ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია არგუმენტაცია სასჯელის ზომისა და ფორმისა, აღნიშნავთ, რომ თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშვის პიროვნების, წარსული ცხოვრების, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ზიანის ანაზღაურების საკითხების, დაზარალებულის პოზიციის, გათვალისწინებით დამნაშავეს მიუსაჯა პირობითი მსჯავრი, იგივე საქმეზე ზემდგომმა ინსტანციის სასამართლომ, იგივე არგუმენტაციით, იგივე პირს მიუსაჯა თავისუფლების რეალური აღკვეთა.

სანქცია და სასამართლო პრაქტიკა



თუ 276-ე მუხლის მე-5 ნაწილის ჩათვლით სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას გამოყენებული სანქციები გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ჰუმანურობით, მე-6, მე-7 და მე-8 ნაწილების შემთხვევაში ასეთ მიდგომას ვეღარ ვხვდებით. შესაბამისი სანქციის ფარგლებში, დანიშნული სასჯელი ყოველთვის არის რეალური თავისუფლების აღკვეთა, რასაც ასევე ყველა შემთხვევაში, დამატებითი სასჯელის სახით ემატება მართვის უფლების ჩამორთმევა, ხოლო იშვიათ შემთხვევაში - ჯარიმა. ინდივიდუალურ შემთხვევებში სასჯელის ზომა დამოკიდებულია დამნაშავის ქცევაზე: ცხადდება თუ არა სასამართლოში, მიატოვა თუ არა შემთხვევის ადგილი, დაზარალებულთა თუ გარდაცვლილთა რაოდენობა და ზიანის ანალურების საკითხი. თუ მაგალითად, ყველა აღნიშნულ გარემოებას ადგილი არ აქვს, ბრალდებული ცხადდება სასამართლოში, არ მიუტოვებია შემთხვევის ადგილი, გარდაცვლილთა რაოდენობა არ აღემატება ორს, ასეთ შემთხვევებში სასამართლოს მიერ განსაზღვრული სანქცია თვისუფლების აღკვეთა ძირითადად წარმოადგენს სანქციის მინიმალურ ოდენობას, რომელიც იზრდება ამ გარემოებებიდან ერთის ან ყველას ერთობლიობის შემთხვევაში და გამოყენებული იყო მაქსიმალური ზღვარიც. თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ერთ შემთხვევაში 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით ბრალდებისას შეგვხვდა პირობითი მსჯავრის გამოყენების შემთხვევა, რომელიც 6 წლის ვადით. სასამართლოს არგუმენტაციას პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის წარმოადგენდა ის გარემოება რომ მსჯავრდებული, განაჩენის გამოტანის მომენტისათვის იყო ფეხმძიმედ. ჯამში სსკ 276-ე მოხლით გათვალისწინებული სანქცია და სასამართლო პრაქტიკა გარაფიკულად შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:



სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლზე მსჯელობისას შეუძლებელია ყურადღების მიღმა დაგვრჩეს სსკ მე-400 მუხლი, რომლის დისპოზიციაც შემდეგია:

მუხლი 400. მანქანის მართვის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა.

1. საბრძოლო, სპეციალური ან სატრანსპორტო მანქანის მართვის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, — ისჯება თვისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
2. იგივე ქმედება რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოს-

პობა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე.

თურმე-400 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციები შესაბამისია 276-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციებისა, მნიშვნელოვანი სხვაობა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანებებისათვის განსაზღვრულ სანქციებში, კერძოდ, მე-400 მუხლით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის სანქციის მაქსიმალურ ზღვარს თუ შეადგენს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა სსკ 276-ე მუხლით იგივე ქმედებისათვის განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა სამიდან ხუთ წლამდე. შედეგად გამოდის ის, რომ ერთი და იგივე ქმედებისათვის, რომლის დარღვევსაც ერთი და იგივე შედეგი მოჰყვება ერთ შემთხვევაში პირმა შეიძლება საპატიმრო დაწესებულებაში გაატაროს მაქსიმუმ ორი წელი, ხოლო მეორე შემთხვევაში, იგივე ქმედებისათვის პირს შეიძლება შეეფარდოს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ ორ პიროვნებას შორის განსხვავება იქნება მხოლოდ და მხოლოდ მისი სტატუსი, პირველ შემთხვევაში ეს არის სამხედრო მოსამსახურე, ხოლო მეორე შემთხვევაში ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე. რომ აღარაფერი ვთქვათ მასზედ რომ მე-400 მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებს როგორ უნდა დაისაჯოს პირი თუ იგი ქმედებას მთვრალ მდგომარეობაში ჩაიდენს. გასაკებია რომ სამხედრო მოსამსახურეს აკრძალული აქვს ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო მანქანის მართვა, მაგრამ ჯერ ერთი რომ ნასვამი მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა ყველას ეკრძალება და მეორეც საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის დაცვა ყვე-

ლას ვალდებულებაა. გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის, ან ერთ-ერთი მუხლის გაუქმება, ან შესაბამისი ქმედებებისათვის სანქციების თანაბარზომიერად განსაზღვრა. კიდევ ერთი გარემოება რაც განასხვავებს ამ მუხლს 276-ე მუხლისაგან არის ამ ბრალდების სტატისტიკური მონაცემები. ბოლო სამი წლის განმავლობაში სულ 6 შემთხვევა ფიქსიდება. საყურადღებოა ისიც, რომ 6 შემთხვევიდან 5 მომხვდა 2014 წელს ხოლო 1 შემთხვევა 2015 წელს. ვინაიდან აღნიშნული დანაშაული ხასიათდება ნაკლები გავრცელებითობით, შესაძლებელია მსჯელობა იმ კუთხით, რომ უფრო მიზანშეწონილია ასეთი შემთხვევებისას მსუბუქადაც დაისჯის შემოღება. ჩნდება ლეგიტიმური მოთხოვნა სპეციალური მუხლები დაწესდეს მაგ. საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მძღოლებზე, ტაქსის მძღოლებზე, და ა.შ.

იგივე უნდა ითქვას სისხლის სამართლის კოდექსის 281-ე მუხლზე.

4. მგზავრის, ფეხით მოსაიარულის ან მოძრაობის სხვა მონაწილის მიერ, გარდა ამ კოდექსის 275-ე 276-ე მუხლში აღნიშნული პირებისა, ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება. — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შემზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
5. იგივე ქმედება რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე
6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ცხრა წლამდე.

მცირედი გარემოება რაც ამ მუხლს განასხვავებს 276-ე მუხლისაგან და რის გამოც იგივე შედეგისათვის დაწესებულია შედარებით მსუბუქი სანქცია, არის ის, რომ კანონმდებლის მიერ, მგზავრი, ფეხით მოსიარულე ან მოძრაობის სხვა მონაწილე არ არის მიჩნეული მომეტებულ საფრთხის წყაროდ. ისევე როგორც არ არის მომეტებულ საფრთხის წყაროდ მიჩნეული, მაგალითად, გლუვლულიანი სანადირო თოფი, ან სხვა ნებისმიერი ცეცხლსასროლი იარაღი რომელთანაც გაუფრთხილებლად მოპყრობის შედეგად ადამიანი გარდაცვალების შემთხვევაში დამნაშავე მაქსიმუმ ოთხწლიანი საპატიმრო სასჯელით დაესაჯოთ, როგორც შემოთ აღენიშნეთ შესაძლოა გაჩნდეს მოთხოვნა სპეციალური სანქციების დაწესების, სხვადასხვა პირებზე ანალოგური მოთხოვნა შეძალაა გაჩნდეს იმ მიმართულებით, რომ დაწესდეს სპეციალური მუხლებიც. მაგალითად, რეგისტრირებული გლუვლულიანი თოფით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევებზე, ან/და სხვა სახეობის კანონიერ თუ უკანონო მფლობელობაში მყოფი ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღით ჩადენილ დანაშაულებზე. რა თქმა უნდა, ეს სამართლებრივადაც არასწორი იქნება და პრაქტიკულადაც არაეფექტური. სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა სასამართლოსათვის უფრო ფართო დისკრეციის მინიჭება რათა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის წარსული ცხოვრების, პირადი და ეკონომიკური პირობების, ყოფაცქცევის ქმედების შემდეგ, ზიანის ანაზღაურების საკითხის გათვალისწინებით, სასამართლომ შეძლოს სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

სსკ 276-ე მუხლი თავისი შინაარსით ბლანკეტური ნორმაა და მითითებას აკეთებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებზე (რომელიც დადგენილია საქართველოს კანონით, საგზაო მოძრაობის შესახებ). ამ

წესების დარღვევა 276-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის გარეშე წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ხოლო თუ ამ დარღვევას შედეგად მოჰყვა მინიმუმ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება უკვე დგება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. კვლევის განმავლობაში შესწავლილ გადაწყვეტილებებში მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო მითითება ასეთ გარემოებებზე. კერძოდ: პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო დაცვის მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ სასჯელის ნაწილში და მსჯავრდებული ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი, არგუმენტად კი მიუთითა ის გარემოება, რომ მსჯავრდებული წინათაც არაერთხელ იყო დაჯარიმებული ადმინისტრაციულად: „პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე რომ, როგორც საქმეში არსებული ინფორმაციით პიროვნების შესახებ ირკვევა მოცემულ ავტოსაგზაო შემთხვევამდე არაერთხელ იყო ადმინისტრაციულ სახდელდადებული სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის გამო, აგრეთვე, ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება. პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ კონტექსტში უფრო მაღალი და მყარია საქართველოს სსკ 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, რამაც სამართლიანი ასახვა უნდა ჰპოვოს მსჯავრდებულისათვის დანიშნულ სასჯელის სახესა და ზომაზე.“ ინფორმაცია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე თუ რამდენად ხშირად იყო პირი ადმინისტრაციულად დაჯარიმებული, როგორც წესი ყველა საქმეში მოიპოვება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვნახეთ სასამართლოს მიერ ამ ინფორმაციის გამოყენება სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას. ჩვენი მოსაზრებით დამნაშავეისთვის სანქციის კონკრეტული სახისა თუ ზომის შეფარდებისას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს დანაშაულის ჩადენამდე ამ პირის მიერ რამდენად ხშირად ჰქონდა ადგილი იმ წესის

დარღვევას, რომელსაც საბოლოო შედეგად მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება. რა თქმა უნდა, თუ პირის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხშირად იყო ჩადენილი იგივე სახის სამართალდარღვევა, რასაც საბოლოოდ სისხლისამართლებრივი შედეგი მოჰყვა, აუცილებელი არაა ყველა შემთხვევაში საპატიმრო სასჯელი იქნას გამოყენებული. მაგრამ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ასეთ პირს განესაზღვროს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე პირს რომლის მიერაც ასეთ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ეს შეიძლება იყოს ჯარიმის განსხვავებული ოდენობა, უფრომ მეტი დროით მართვის უფლების ჩამორთვევა, პირობითი მსჯავრი თუ რეალური სასჯელი შესაბამისად ხანგრძლივი ან ხანმოკლე ვადით.

ავტოსაგზაო შემთხვევებსა და სასამართლოს მიერ ამ დანაშაულზე გამოყენებულ სანქციებზე მსჯელობისას, რა თქმა უნდა, გვედს ვერ აუვლით თითქმის ყოველდღიურად მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით ვრცელდება ინფორმაციას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მომხდარი სხვადასხვა სიმძიმის ავტოსაგზაო შემთხვევებზე, იქნება ეს დასახლებულ პუნქტში გადაჭარბებული სიჩქარით გამოწვეული თუ ნასვამი მძღოლით განპირობებული, ფეხმძიმე ქალისა თუ პატარა ბავშვის დაზიანება, რამდენიმე ადამიანისა თუ ერთი ოჯახის წევრების გარდაცვალებით დამთავრებული ავარიის შემთხვევები. თავშივე ავლნიშნეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები ამ დანაშაულის რაოდენობის შესახებ. შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულების საერთო რაოდენობის ორ მესამედზე მეტი, სწორედ, ავტოსაგზაო შემთხვევებზე მოდის. ასეთ ვითარებაში საზოგადოების ბუნებრივი რეაქციაა დამნაშავე პირის მკაცრად დასჯის მოთხოვნა. მითუმეტეს როდესაც ქმედება ჩადენილია ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში, მაგრამ რა მკაცრადაც არ უნდა დაისაჯოს ასეთი ქმედების ჩამდენი პირი, ეს მაინც უფრო შედეგთან ბრძოლაა და არა დანაშაულის პრევენცია.

სსკ 276-ე მუხლის სანქციებში მისი არსებობის მანძილზე, 1999 წლიდან მხოლოდ ორჯერ შევიდა ცვლილება. პირველი იყო კანონის ამოქმედებამდე 2000 წლის 5 მაისს, როცა პირველ და მესამე ნაწილებად გაიყო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანება, ყველა ქმედებას ცალკე მაკვალიფიცირებლად განესაზღვრა სიმთვრალე და მუხლმა მიიღო დღევანდელი ფორმა. ხოლო მეორე 2006 წლის 28 აპრილის კანონით როდესაც მოხდა მუხლის ყველა ნაწილის სანქციის მინიმუმის გაზრდა (საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოჰყვა სახელმწიფოს გაცხადებულ სისხლის სამართლის პოლიტიკას ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ), როგორც ჩანს, კანონმდებელმა დანაშულთან ბრძოლის მარტივი გზა გამოიხატა, მხოლოდ სანქციის გაზრდით, თუმცა იგივეს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ვერ ვიტყვით, რადგან ამან დანაშულის შემცირების თვალსაზრისით იქონია რაიმე გავლენა. სანქციის გამკაცრებას მხოლოდ მაშინ ეწეებოდა აზრი, თუ ის გავრცელდება ყველა ეტაპზე. ანუ არა მხოლოდ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას, არამედ არდმინისტრაციული დარღვევებზე, როგორც სანქციის შეფარდების, ასევე ამ დარღვევების ადმინისტრირების პროცესში. რა მძიმე სანქციაც არ უნდა დანესდეს თუნდაც სსკ 276-ე მუხლის მე-8 ნაწილისათვის, პრევენციული თვალსაზრისით ამან შესაძლოა მინიმალური ეფექტი იქონიოს თუნდაც იმ მიზეზით, რომ არცერთი მძლოლი, მითუმეტეს ნასვამი მართვის დაწყების წინ არ უშვებს, რომ მას ავტოსაგზაო შემთხვევა მოუვა. უმჯობესი იქნება თუ ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფარგლებში სანქცია გამკაცრდება და განმეორების დროს შესაძლოა დანესდეს ადმინისტრაციული პატიმრობაც, სამაგიეროდ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები შესაძლოა შემცირდეს. ამავე დროს მაქსიმალურად ეფექტური უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ადმინისტრირება. მიგვაჩნია, რომ ასეთი კომპლექსური

მიდგომით უფრო შესაძლებელი იქნება ავტოსაგზაო შემთხვევებისა და ასეთი შემთხვევებით გამოწვეული მსხვერპლის რაოდენობის შემცირება, ვიდრე მხოლოდ სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლის სანქციის გამკაცრებით.

3. სიზოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

როგორც კვლევამ აჩვენა სსკ 276-ე მუხლით ბრალდების დროს გარდამტეხი ფაქტორი საპატიმრო თუ არასაპატიმრო სასჯელის შეფერდებისა არის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილი, „რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.“ საინტერესესოა თუ როგორ არეგულირებს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა სხვა ისეთ შემთხვევებს, რასაც შედეგად მოჰვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად: სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ორიდან ოთხ წლამდე. ხოლო იგივე ქმნდება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. ერთი და იგივე შედეგის დადგომის შემთხვევაში სანქციების ასეთი შეუსაბამობა გასაგები გახდება თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს, კერძოდ, თუ 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე თუ წლის განმავლობაში რვაასიდან ცხრაას შემთხვევამდე იწყება სისხლის სამართლებრივი დევნა, სსკ 116-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე ბოლო სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 33 შემთხვევაზეა დაწყებული დევნა. ასეთი სტატისტიკური მონაცემებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით უფრო მოსალოდნელია რომ 116-ე მუხლით ბრალდების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება სანქციის ნაწილშიც ლმობიერი იქნება, თუმცა კვლევის თანახმად შედეგები განსხვავებუ-

ლია, კერძოდ, 116-ე მუხლით ბრალდების შემთხვევებში სასამართლოს მიერ გამოყენებული სანქცია თითქმის ყოველთვის არის რეალური საპატიმრო სასჯელი. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ორ შემთხვევაში იყო გამოყენებული პირობითი მსჯავრი. ერთ შემთხვევაში ეს გახლდათ 2 წელი პირობითი მსჯავრი, როდესაც გარდაიცვალა მსჯავრდებულის ბიძა, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე 2 წელი პირობითი მსჯავრი გამოყენებული იყო დამნაშავის პიროვნების მისი წარსულის, დანაშაულის მოტივის გათვალისწინებით. სხვა დანარჩენ შემთხვევებში სასამართლომ გამოიყენა რეალური თავისუფლების აღკვეთა ორი წლიდან ოთხ წლამდე ვადით. ისეთ შემთხვევებში როდესაც 116-ე მუხლით ბრალდებასთან ერთად პირს წარდგენილი აქვს სხვა ბრალდება, ძირითადად ესაა სსკ 236-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო მარლთსაწინაარმდეგო შექცნა, შენახვა, ტარება), ასეთი შემთხვევების რაოდენობა დაახლოებით 20-25% შეადგენს, სასამართლოს დამოკიდებულება და დამნაშავის უფრო მკაცრად დასჯის პრაქტიკა თუ ლოგიკური და არგუმენტირებულია, ცოტა გაუგებარი ხდება სხვა შემთხვევებზე პირის საპატიმრო სასჯელით დასჯა. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც პირის მიმართ 116-ე მუხლით ბრალდებას თან არ ახლავს არც სხვა დანაშულში ბრალდება და არც ასევე განაჩენში სასჯელის ზომის დასაბუთების დროს მოყვანილი არაა სხვა რაიმე დამაძიმებელი გარემოება, მაგალითად, როგორც შეიძლება იყოს დანაშულის ჩადენის შემდგომ ბრალდებულის ქმედება, გამოძიებასა თუ სასამართლოში გამოუცხადებლობა, დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი. კვლევისას შეგვხვდა შემთხვევა როდესაც სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში წარგზავნილი იყო სსკ 108-ე მუხლით გართვალისწინებული ბრალდებით (განზრახ მკვლელობა). სასამართლომ საბოლოოდ ქმედება დააკვალიფიცირა სსკ 116-ე მუხლით (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა) და ამავე მუხლით განუსაზღვრა სასჯელი 3 წლით თავისუფლების აღკ-

ვეთა. იმ გარემოების გათვალისწინებით რომ ამ კონკრეტულ საქმეში მითითებული არ იყო რაიმე სხვა დამამძიმებელი გარემოება. ხშირად ასეთ შემთხვევებში იქმნება შთაბეჭდილება, რომ რადგანაც სასამართლომ შეცვალა კვალიფიკაცია განზრახ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულიდან, გაუფრთხილებლობით ნაკლებად მძიმე დანაშაულზე საპატიმრო სასჯელის მისჯა გამონვეულია ბრალდების მხარის ნაკლები პროტესტის დასაკომპენსირებლად. თუმცა როგორც კვლევაში აჩვენა ეს ასე არ არის და სასამართლოს პრაქტიკა სსკ 116-ე მუხლით დასჯის შემთხვევებში ერთგვაროვანია იმისდა მიუხედავად თუ რა ბრალდებით იყო თავდაპირველად სამე სასამართლოში წარმართული. რამდენად ეს პრაქტიკა სწორი და სამართლიანია, შეიძლება ცალკე დავის საგანი გახდეს ზემოთ მოყვანილ გარემოებათა გამო.

4. ჯანმრთელოხის დაზიანება გაუფრთხილახლოხით

ჯანმრთელოხის გაუფრთხილებლობით დანიაზიანება, იქნება ეს მძიმე თუ ნაკლებად მძიმე ხარისხის, კანონმდებელს ერთ მუხლში აქვს მოქცეული, ესაა სსკ 124-ე მუხლი. სანქციის სახით განსაზღვრულია ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშო ორ წლამდე ვადით. ამ მუხლით ბრალდების შემთხვევები იმით იქცევეს ყურადღებას, რომ მიუხედავად კანონმდებლის მიერ სხვადასხვა შედეგისა დაწესებულია ერთი და იგივე სანქცია სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვისას. ასევე ყურადღება ექცევა თუ რომელი შედეგი დადგა ბრალდებულის ქმედებით: მძიმე თუ ნაკლებად მძიმე დაზიანება. ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევაში გამოყენებული სანჯია არის ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, ხოლო მძიმე დაზიანების შემთხვევაში ჯარიმის თანხა იზრდება და იგი 1500 ლარიდან 3000 ლარამდე ფარგლებში მერყეობს.

5. ქონების დაზიანება მაუფროსილქლობით


დამნაშავის ქმედების შედეგად რაც უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე დაზიანდება, ბუნებრივად, რომ კანონმდებლის მიერ უფრო მსუბუქი სანქციაა გათვალისწინებული. თუ გაუფროსილქლობით სიცოცხლის მოსპობისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა და სასამართლო პრაქტიკაც ძირითადად ასეთ სანქციას იყენებს, გაცილებით მსუბუქად ისჯება ქონების დაზიანება გაუფროსილქლობით სსკ 188-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვისი ნივთის დაზიანებისათვის ან განადგურებისათვის პირი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე, ისიც იმ პირობით, რომ დაზიანებული ან განადგურებული ქონების ღირებულება უნდა აღემატებოდეს 150 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედებას საერთოდ არ ეძლევა სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაცია. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად იკვეთება სურათი, რომ სსკ 188-ე მუხლის პირველი ნაწილით ბრალდების შემთხვევაში სანქციის სახით გამოყენებულია ჯარიმა 500 ლარიდან 1000 ლარამდე ფარგლებში, ხოლო ეს ოდენობა ისევე როგორც სხვა შემთხვევებში დამოკიდებულია დამნაშავის პიროვნებასთან, ოჯახურ თუ ქონებრივ მდგომარეობასთან.

188-ე მუხლის მე-2 ნაწილით მძიმდება სანქცია ქონების დაზიანებისა ან განადგურებისათვის თუ ქმედება ჩადენილია ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფროსილქლობელი მოპყრობით და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვის ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. შესაბამისად, მძიმდება სასამართლოს მიერ ამ დანაშაულისათვის გამოყენებული სანქციებიც, რომელიც იწყება ათასლარიანი ჯარიმით და გამოიყენება პირობითი მსჯავრიც. თუმცა მე-2 ნაწილით ბრალდების შემთხვევებში ასევე ვერ ვხვდებით რე-

ალური პატიმრობის შეფარდების შემთხვევებს. თუმცა 188-ე მუხლთან მიმართებით ჩვენს ყურადღებას სხვა გარემოებაც იპყრობს. როგორც ვხედავთ, მე-2 ნაწილის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობა. თუ ცეცხლის შემთხვევაში ყველაფერი მარტივი და გასაგებია, მომეტებული საფრთხის წყარო უფრო ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, მაგალითისათვის მომეტებულ საფრთხის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ცეცხლსასროლი იარაღი, ავტომობილი ან სხვა სატრანსპორტო საშუალება, რასაც მიიჩვენს კიდევ კანონმდებელი და სპეციალური მუხლით არეგულირებს ამგვარ დარღვევას. თუ ამ ლოგიკას გავყვებით და კანონის ფორმულირებას დავეყრდნობით გამოვა, რომ ნებისმიერ ავტოსატრანსპორტო შემთხვევაზე, იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლოა ამ შემთხვევას ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება საერთოდ არ მოყვეს, თუ დაზიანებული ავტომობილის ღირებულება აღემატება 150 ლარს, უნდა დაინყოს გამოძიება სსკ 188-ე მუხლის მეორე ნაწილით, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით. ასეთი მსჯელობა შესაძლოა ცოტა გაზვიადებული მოგვჩვენებოდა რომ არა ისევ და ისევ სასამართლო პრაქტიკა, რომელიც შეგვხვდა კვლევის განხორციელების დროს, როდესაც ბრალდება იყო სსკ 188-ე მუხლის მე-3 ნაწილი (მე-2 ნაწილში აღნიშნული ქმედება რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ან სხვა მძიმე შედეგი) რასაც თან ერთვოდა ბრალდება სსკ 275-ე მუხლით (რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) გათვალისწინებული დანაშაული. თავშივე ავღნიშნეთ და კვლავ გავიმეორებთ, რომ წინამდებარე კვლევის საგანი არ ყოფილა სასამართლო პრაქტიკის შესწავლა კანონიერების თვალსაზრისით. ამასთანავე იმედს ვიტოვებთ, რომ სამართალდამცავი ორგანოები არ მოახდენენ 188-ე მუხლით კვალიფიკაციას ნებისმიერ სატრანსპორტო შემთხვევაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველივე და

ხელშესახები შედეგი იქნება დანაშულთა რაოდენობის კატასტროფული ზრდა.

სანქცია და სასამართლო პრაქტიკა



საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ გაუფრთხილებლობით დანაშულებებში მნიშვნელოვანი წილი უკავია ისეთ ქმედებებს, როდესაც კანონმდებელი დანაშულად მიიჩნევს ამა თუ იმ წესის დარღვევის შედეგად დამგარ შედეგს, რომლის მიმამალურ სტანდარტსაც შეადგენს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. მაგალითისათვის ასეთი მუხლებია სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლი, შრომის დაცვის წესის დარღვევა, 240-ე მუხლი, სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა, 240-ე პრიმა მუხლი, ელექტრო ან თბოენერჯის, გაზის ნავთობის, ან ნავობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა, 241-ე მუხლი ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა, 242-ე მუხლი აფეთქება საშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა, 243-ე მუხლი სახანძრო უსაფრთხოე-

ბის წესის დარღვევა, 245-ე მუხლი, ბირთვული მასალის რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერებების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა. ასეთ განსაკუთრებით მომეტებულ საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობისათვის გათვალისწინებულ მუხლებს სისხლის სამართლის კოდექსში მთელი 31-ე თავი აქვს დათმობილი. გასაგებია რომ ამ დანაშაულთან ნაწილი არა თუ ბოლო სამი წლის, არამედ გაცილებით დიდი ხანია საქართველოში არ დაფიქსირებულა. მაგალითად, ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა, ბირთვული მასალის ან მაიონებელი გამოსხივების წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდის ამ ნაწილში სასამართლო პრაქტიკაზე მსჯელობას. თუმცა ასეთ მუხლებს მაინც აქვს „არსებობის უფლება“. პირველი იმიტომ რომ აღრე თუ გვიან შესაძლოა დაფიქსირდეს საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი დანაშაული და მეორე საქართველოს მოქალაქემ შესაძლოა აღნიშნული დანაშაული ჩაიდინოს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ერთადერთი რაც შესაძლოა აღინიშნოს ამ დანაშაულისათვის გასაზღვრულ სანქციებზე მსჯელობისას არის ის, რომ ყველა სხვა წესის დარღვევასთან შედარებით კანონმდებელს ამ წესის დარღვევის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება თუ გარდაცვალება მიაჩნია უფრო მკაცრად დასჯად ქმედებად და სანქციებიც შესაბამისად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთით, ორიდან ოთხ წლამდე ჯანმრთელობის დაზიანებისათვის და გარდაცვალების შემთხვევაში ოთხიდან რვა წლამდე, ხოლო თუ ამ დარღვევას ორი ან მეტი პირის გარდაცვალება, ან გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება მოჰყვა სწრაფად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა შვიდიდან ცამეტ წლამდე. (ტექტის დასაწყისში, სანქციებზე მსჯელობისას მითითებულია რომ სანქციის მაქსიმალურ ზღვარს შეადგენს 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ატომურ ობიექტზე წესის დარღვევა ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს, როდესაც სანქციად განსაზღვრულია 13 წლამდე

თავისუფლების აღკვეთა. თუმცა საბედნიეროდ, ამ ნაწილში, ქმედების არარსებობის გამო შეუძლებელია სასამართლო პრაქტიკაზე მსჯელობა).

რაც შეეხება სამშენებლო სამუშოების წესების დარღვევისას ჯანმრთელობის დაზიანებასა და ადამიანის გარდაცვალებაც კანონის მიხედვით უფრო მსუბუქად ისტება, ვიდრე ელქტრო ან თბოენერგიის ობიექტზე წესების დრღვევის შედეგად დამდგარი იგივე შედეგი. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სსკ 240-ე მუხლი ცალკე მაკვალიფიკირებელ გარემოებად არ მიიჩნევს ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობის შედეგს. განსხვავებით მაგალითად, სსკ 170-ე მუხლისაგან, შრომის დაცვის წესის დარღვევა, რომელიც უფრო ზოგადი მუხლია ვიდრე 240-ე მუხლი და 2 ან მეტი პირის გარდაცვალების შემთხვევაში. სანქციის სახით ითვალისწინებს ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მთავარი პროკურატურის მონაცემებით სსკ 240-ე მუხლი, უფრო გავრცელებულია და სანქციის მაქსიმალურ ზღვარს შეადგენს ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ვიდრე სსკ 170-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშული. თუ 240-ე მუხლით ბოლო სამი წლის განმავლობაში 83 შემთხვევაზე დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა სსკ 170-ე მუხლის მხოლოდ 29 შემთხვევა დაფიქსირდა. რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, იმ შემთხვევებში თუ ბრალდების ფორმულირება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებაა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს საპატიმრო სასჯელსაც სასამართლოს მიერ სანქციის სახით გამოყენებულია ჯარიმა 1000 ლარიდან 5000 ლარამდე და ჯარიმის საბოლოო ოდენობა დამოკიდებულია როგორც დაზიანების ხარისხზე, ასევე დაზარალებულთა რაოდენობაზე, დამნაშავის პიროვნებასა და მის ქცევაზე. ხოლო თუ წესების დარღვევას შედეგად მოჰყვა ადამიანის გარდაცვალება, შესაბამისად, მკაცრდება სასამართლოს მიერ გამოყენებული სანქციაც როგორც პირობითი მსჯავლების შემთხვევები, ასევე

50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები, დანიშნული სასჯელის ნაწილის საპატიმრო დაწესებულებაში მოხდითა და ნაწილის პირობით მსჯავრდების, ასევე მთლიანად საპატიმრო სასჯელის გამოყენებაც. ასეთ შემთხვევებში რეალური თავისუფლების აღკვეთის ზომები მერყეობს ერთი წლიდან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ფარგლებში. ინდივიდუალური არგუმენტაცია კი ემყარება ისევ და ისევ დამნაშავის პიროვნებას, მის ქცევას დანაშაულის შემდგომ, ბრალდებას სხვა დანაშაულში, ოჯახურ და ფინანსურ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მუხლი პირდაპირ მიუთითებს ამა თუ იმ წესის დარღვევაზე ამ ნაწილშიც ჩვენ ვერ შევხვდით სასამართლოს მიერ სასჯელის დასაბუთებისას მსჯელობას მასზედ წარსულში რამდენად ხშირად იყო თუ არა დარღვეული დამნაშავის მიერ სამსახურებრივი წესები.

ცალკე უნდა აღინიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული: „სამსახურებრივი გულგრილობა, ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე“ როგორც მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარეობს საკმაოდ ფართო დიაპაზონია როგორც ქმედების, ასევე შესაძლო შედეგის თვალსაზრისითაც. რაც შეეხება სასამართლოს მიერ გამოყენებულ სასჯელს ყველა იმ შემთხვევაში რომელიც ჩვენ შევისწავლეთ, სასჯელის სახით გამოყენებული იქნა ჯარიმა. უნდა აღინიშნოს რომ ჯარიმის ოდენობა სხვა წინა განხილული შემთხვევებისაგან (სქოლიო: ბოლო სამი წლის განმავლობაში 79 სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული დევნა, მათგან 40 შემთხვევაზე 2014 წელს ხოლო დანარჩენი 2015-16 წლებში)

განხვავებით შედარებით მალალია და მერყეობს 2000 ლარიდან 52 000 ლარამდე.

რაც შეეხება 342-ე მუხლის მე-2 ნაწილს; იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. აღსანიშნავია რომ კანონმდებელი შედარებით მალალ სანქციას აწესებს საჯარო მოხელისათვის თუ აღნიშნულ მუხლს შევადარებთ მაგ. სსკ 116-ე მუხლის 1-ლ ნაწილს, (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) მაგრამ საერთოდ არ აწესებს განსხვავებულ სანქციას თუ საჯარო მოხელის ქმედებას შედეგად მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც საკანონმდებლო ხარვეზად მიგვაჩნია და მიზანშეწონილი იქნება თუ კანონმდებელი გაითვალისწინებს ასეთ შემთხვევებსაც.

დასკვნის სახით გაუფრთხილებლობითი დანაშაულებისათვის გამოყენებული სანქციების ზოგადი ანალიზისათვის აუცილებელია პირველ რიგში გავიხსენოთ რა მიზანს ემსახურება სასჯელის გამოყენება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად:

1. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.
2. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით.
3. სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

რაც შეეხება უკვე კონკრეტული დანაშაულისათვის დაწესებულ სანქციას, სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულია შედარებით განსაზღვრული სანქცია ამა თუ იმ დანაშაულისათვის. მაგალითად, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სამ წლამდე, თავისუფლების აღკვეთა ორიდან ხუთ წლამდე და ა.შ. სასამართლო კონკრეტული პირისათვის სანქციის შეფარდებისას ითვალისწინებს ასევე სსკ 53-ე მუხლით გათვალისწინებულ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცხევას ქმედებების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. როგორც ვხედავთ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებების საკმაოდ ფართო ჩამონათვალია, ასევე არ არის მცირე იმ სასჯელთა სახეების ჩამონათვალი, რომლებიც განსაზღვრულია სსკ მე-40 მუხლით თუმცა როგორც პრაქტიკაში ვხვდებით რეალურად გამოყენებული სასჯელები არის ჯარიმა, როგორც ძირითად ასევე დამატებით სასჯელად. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დამატებით სასჯელად, და ვადიანი თავისუფლების არკვეთა, როემლიც რიგ შემთხვევაში ითვლება პირობით ხოლო დანარჩენ შემთხვევებში სასჯელის მოხდა საპატიმრო დაწესებულებაში ხდება. როგორც საკანონმდებლო დონეზე ასევე პრაქტიკის თვალსაზრისითაც, ნაკლებად გამოყენებულია ისეთი სასჯელები, როგორებიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, თავისუფლების შემოღებვა. 39-ე მუხლით განსაზღვრულ სასჯელის ერთ-ერთ მიზანს, როგორც ვხედავთ, ახალი დანაშაულის თვიდან აცილება წარმოადგენს, ამ მიზნის მიღწევა კი უფრო ეფექტიანად შესაძლებელია არა იმდენად მკაცრი სასჯელის შიშით,

არამედ დასჯის გარდაუვალობით, რომელიც არ მოიცავს მხოლოდ სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას. სისხლის სამართლის კოდექსით პირის დასჯა წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის უკიდურეს ფორმას, რომელსაც, რა თქმა უნდა, ლეგიტიმური მიზანი გააჩნია. თუმცა როდესაც ამ მიზნის მიღწევა სისხლისამართლებრივი ჩარევის გარეშე შესაძლებელია, უპირატესობა ასეთ შესაძლებლობას უნდა ენიჭებოდეს. ჩვენ შემთხვევაში ასეთი ალტერნატიულ შესაძლებლობას წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომლის თანახმადაც თითქმის ყველა ქმედება რომელთა დარღვევით დამდგარი შედეგი საბოლოოდ დანაშაულის სახეს იღებს, შესაბამისი შედეგის გარეშე წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას იქნება ეს შრომის დაცვის წესების დარღვევა, თუ ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა. შესაბამისად, თუ სახელმწიფო უპირატესობას მიანიჭებს სასჯელის გარდაუვალობის პრინციპს და შესაბამის რესურსს წარმართავს ამ მიმართულებით, შედეგად უფრო ხელშესახები იქნება. რიგ შემთხვევებში შესაძლოა ადმინისტრაციული სასჯელების გამოყენებაც. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ არსებული მდგომარეობა, აჯობებს ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისათვის (აღბათ განმეორებით) დამრღვევ მძღოლს თხოუმეტ დღემდე პატიმრობა შეეფარდოს, ვიდრე მართვის უფლების ჩამორთმევით შემოვიფარგლოთ და ველოდოთ თუ როდის ხელყოფს სხვის ჯანმრთელობასა თუ სიცოცხლეს რომელი შედეგის აღმოფხვრაც გაცილებით ძვირი უჯდება დაზარალებულსაც, დამრღვევ მძღოლსაც და სახელმწიფოსაც.

რეკომენდაციები:

1. საქართველოს პარლამენტს:

სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდეს ცვლილებები რითაც მეტი დისკრეცია მიენიჭება სასამართლოს ინდივიდუალურ შემთხვევებში განსაზღვროს სანქციის ფორმა და ზომა.

2. აღმასრულებელ ხელისუფლებას:

გაიზარდოს კონტროლი ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სამუშოთა წარმოების თუ საგზაო მოძრაობის წესის დარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას (შს სამინისტრო, შრომის ინსპექცია).

3. სასამართლო ხელისუფლებას:

- ა) სასჯელის დანიშნვისას გაიზარდოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ალტერნატიული საქციების გამოყენება (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო).
- ბ) წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს 55-ე 63-ე მუხლების რედაქციის კონსტიტუციურობის დადგენის თაობაზე.